

#5 (26), მაისი, 2009

### იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების  
ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული  
დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია  
სოციალურ სფეროზე  
ორიენტირებული საზოგადოებრივი  
ორგანიზაციებისთვის იურიდიული  
მომსახურება.

### კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი  
დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში  
წარმომადგენლობას  
ადმინისტრაციულ  
ორგანოებში და  
სასამართლოში.

### კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული  
კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: [legalclinic@civilin.org](mailto:legalclinic@civilin.org)

ვებ-გვერდი: [www.civilin.org/welfare](http://www.civilin.org/welfare)

ყოველთვიურ ელექტრონულ  
გამოცემას ამზადებს  
სამოქალაქო საზოგადოების  
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: [www.civilin.org](http://www.civilin.org)

## სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა,  
„სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი  
ორგანიზაციებისთვის ეფექტური საარსებო გარემოს გაუმჯობესების“  
პროექტის ფარგლებში (რომელიც გერმანული ფონდის EED-ის  
ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება), გამოაცხადა საგრანტო  
კონკურსი. რომლის მთავარი მიზანი - საქართველოში ზრუნვაზე  
ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების  
ინსტიტუციონალური მდგრადობის და განვითარების ხელშეწყობაა.

საკონკურსო განაცხადების მიღება 27 აპრილს დასრულდა. კონკურსში  
წარმოდგენილი იყო 35 საპროექტო წინადადება. აქედან ნახევარზე  
მეტ რეგიონებში მომუშავე ზრუნვაზე ორიენტირებულმა  
საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა წარმოადგინეს.

საგრანტო კონკურსში ორი გამარჯვებული ორგანიზაცია გამოვლინდა:

- ✓ საქველმოქმედო კავშირი „თემი“;
- ✓ სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირი  
„თემი-ქედელი“.

თითოეული გრანტის ოდენობა შეადგენს 3000 ევროს

## მზადება პირველი ივნისისთვის



1 ივნისს ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღისთვის გულმოდგინედ ემზადებიან გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაციის ბენეფიციარები და ოზურგეთის სკოლების მოსწავლეები. ისინი ერთობლივ საღამოს გამართავენ. ასოციაცია 1992 წლიდან აქტიურად მუშაობს ინვალიდთა უფლებების დაცვის, მათი ინტეგრაციისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობისთვის. ამ მიმართულებით ასოციაციამ მრავალი პროექტის განახორციელა. ამაჟამად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის ცენტრი ფუნქციონირებს, რომელიც 40 ბენეფიციარს ემსახურება. დღის ცენტრის ბენეფიციარები ყოველდღიურად სხვადასხვა დისციპლინაში იმაღლებენ უნარებს: ხატავენ, ქარგავენ, პერწავენ, სპორტულ და იტერაქტიულ თამაშებს აწყობენ. თეატრალური წრის ფარგლებში სხვადასხვა სპექტაკლებს დგამენ. შექმნილი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვებს აწყობენ. ესწრებიან ფსიქოლოგის გაკვეთილებს. ინვალიდთა ასოციაციას ხშირად სტუმრობენ როგორც ადგილობრივი სამხარეო და რაიონული ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე კულტურისა და სპორტის მუშაკები, საზოგადო მოღვაწეები, საჯარო სკოლის მოსწავლეები. მათი დახმარებით ბენეფიციარებმა რამდენიმე კონცერტი მოაწყვეს რეგიონის საჯარო სკოლებში, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში წარმოდგინეს სპექტაკლები: „იავნანამ რა ჰქმნა“ და „მე ვხედავ მზეს“. ისევე როგორც თავად ხვდებიან სტუმრებს გულთბილად, თავადაც გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს – 12 მაისს ბენეფიციარებს მუსიკალური სკოლის პედაგოგებმა და ამ სკოლის აღსაზრდელებმა უმასპინძლეს. ახლა კი თავად ემზადებიან 1 ივნისისთვის...

### გამოფენა-ფორუმი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დაცვის დღეს, 14 ივნისს, თბილისში გაიმართება პირველი გამოფენა-ფორუმი ინვალიდობის თემაზე. მისი მიზანია საზოგადოება გაეცნოს, მიიღოს ინფორმაცია ინვალიდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. გამოფენა-ფორუმი აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებული პროექტის – „თანაბარი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის“ – ფარგლებში ტარდება და ახორციელებენ ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ და კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“. როგორც უკვე ავლნიშნეთ ღონისძიება მოიცავს: გამოფენას, დებატებს. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველი ილუსტრირებული, აუდიო-ვიზუალური მასალა, ასევე ორგანიზაციების მიერ შექმნილი პროდუქცია. გამოფენა-ფორუმის ფარგლებში იგეგმება 9 დებატის გამართვა. თემატიკა აგებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის სტრატეგიულ მიმართულებებზე.

გამოფენა-ფორუმის დასკვნითი ღონისძიებაზე დაჯილდოვდებიან ის ადამიანები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს შშმპ-თა უფლებების დაცვის სფეროში.

## ახალი, ინტეგრირებული სპორტული დარბაზი



198-ე სკოლაში ინტეგრირებული სპორტული დარბაზი გაიხსნა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები თავის თანატოლებთან ერთად ივარჯიშებენ. მოსწავლეებს ფიზკულტურის გაკვეთილები აქამდე სკოლის ეზოში განთავსებულ სპორტულ მოედანზე უტარებოდათ. ყოველივე საქართველოში იაპონიის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „მშობელთა ხიდი“ განახორციელა. ორგანიზაციის პროექტის მიზანია სპეციალური სექციონების მქონე ბავშვების ფიზიკური მომზადების უზრუნველყოფა. ორგანიზაცია „მშობელთა ხიდი“ 1999 წლიდან ფუნქციონირებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციას უწყობს ხელს. სპორტული დარბაზის გახსნას საქართველოში იაპონიის ელჩთან

მასაიოში კამოჰარასთან ერთად განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ირინა ქურდაძე დაესწრო. გახსნას ასევე ესწრებოდნენ პარლამენტის წევრები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სტუმრები ბავშვების მიერ გამართულ სპორტულ ღონისძიებას დაესწრნენ და მოსწავლეთა მიერ დამზადებული სხვადასხვა ნაკეთობათა გამოფენა დაათვალიერეს. სკოლის მოსწავლეები სისტემატიურად მონაწილეობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სპორტულ ოლიმპიადებში. შარშან, იტალიაში გამართულ მძლეოსნობის ოლიმპიადაში სკოლის სამმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და ისინი ოქროს მედლებით დაბრუნდნენ.

## დაგვიდექით მხარში

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კავშირი „ინტელექტ+“ 2005 წელს დაარსდა, მისი მთავარი პრიორიტეტია ფოთში მცხოვრებ შშმ-თა სოციალური რეაბილიტაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა. ამ მიზნით კავშირი ახორციელებს სასწავლო პროგრამებს, კერძოდ, ფოთში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალება აქვთ ინგლისური ენისა და კომპიუტერის სასწავლო კურსები გაიარონ, მომსახურება უფასოა. სწავლის პროცესი ისეა აწყობილი, რომ იგი ინკლუზიას უწყობს ხელს. კავშირი ამავე დროს ბევრ კულტურულ თუ სპორტულ ღონისძიებას აწყობს – ყოველწლიურად ქალაქ ფოთის სპორტის სამსახურთან ერთად

ატარებს ტურნირებს შშმ, ჭადრაკსა და მკლავჭიდაში. შეძლებისდაგვარად ცდილობს ყოველ დღესასწაულზე

სიხარული მიანიჭოს ფოთში მცხოვრებ 50-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს.



## 10 საუკეთესო მედია-პროდუქტი ფსიქიკური ჯანმრთელობის თემაზე

ფონდი “გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი” პროექტის პარტნიორებთან ერთად აცხადებს კონკურსს: “10 საუკეთესო მედია-პროდუქტი ფსიქიკური ჯანმრთელობის თემაზე”.

კონკურსის მიზანია ბიძგი მისცეს მედიაკამპანიას ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების ეთიკურად გასაშუქებლად, რაც ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მიმართ არსებული სტიგმის და დისკრიმინაციის შემცირებას შეუწყობს ხელს.

კონკურსი ჩატარდება 3 ნომინაციაში:

- ✓ საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტი
- ✓ საუკეთესო რადიო სიუჟეტი
- ✓ საუკეთესო სტატია

ნომინაციებში გამარჯვებულებს გადაეცემათ კონკურსის გამარჯვებულის დიპლომი და ფულადი ჯილდო.

კონკურსის პირობები:

საკონკურსო მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახით:

სატელევიზიო სიუჟეტი - CD ან ვიდეო კასეტა სატელევიზიო არხის და ეთერში გასვლის დროის მითითებით;

რადიო სიუჟეტი - CD რადიო-არხის და ეთერში გასვლის დროის მითითებით;

სტატია – გაზეთი, ჟურნალი ან ვებ-გვერდის მისამართი, სადაც გამოქვეყნდა სტატია (უკიდურეს შემთხვევაში ნაბეჭდი ტექსტი მედია-გამოცემის და თარიღის ზუსტი მითითებით).

საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალები გამოქვეყნებული ან ეთერში გასული უნდა იყოს 2009 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით.

საკონკურსო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 30 ოქტომბერი.

ნომებრში გამოვლინდება და დაჯილდოვდება 10 გამარჯვებული. კონკურსში გამარჯვების კრიტერიუმები დაეფუძნება ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების არადისკრიმინაციული გაშუქების სახელმძღვანელო პრინციპებს: “მედია და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები”. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია როგორც პროფესიონალ ჟურნალისტებს, ასევე სტუდენტებს.

კონკურსანტებმა ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ ფონდის “გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში (გიფ) თბილისის” ოფისში მისამართზე: თბილისი, ყიფშიძის ქ.49ა. ამავე მისამართზე სახელმძღვანელო პრინციპების მიღებაც იქნება შესაძლებელი.

საკონტაქტო პირი – ნინო აღდგომელაშვილი

ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. 49ა

ტელ. 23 53 14, 21 40 08, 899 140008

ელ-ფოსტა: [info-gip-tbilisi@gip-global.org](mailto:info-gip-tbilisi@gip-global.org); [nagdgomelashvili@gip-global.org](mailto:nagdgomelashvili@gip-global.org)

ლონისძიება ტარდება პროექტის: “ფსიქიკურ პრობლემებთან დაკავშირებულ სტიგმასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა” ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციების მიერ: ფონდი “გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი”, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია “წდობა”, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია, საქართველოს ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი, ასოციაცია “ანტი სტიგმა”, კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ, კავშირი “თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისთვის” და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით.



თქვენ ყოველთვის უნდა ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა:

[welfare@civilin.org](mailto:welfare@civilin.org)

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ